მლოცველის წინ გამვლელმა რომ იცოდეს, რა მძიმე ცოდვას იტვირთავს, მისთვის უკეთესი იქნებოდა, რომ ორმოცი (დღე, თვე ან წელი) დალოდებოდა, ვიდრე მლოცველის წინ გაევლო

ბუსრ იბნ სა'იდისგან გადმოცემულია, რომ ზაიდ იბნ ხაალიდ ალ-ჯუჰანიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ის აბუ ჯუჰაიმთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გააგზავნა, რათა ეკითხა, რა მოისმინა ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იმ პირის შესახებ, ვინც ლოცვის დროს მლოცველის წინ გაივლის. აბუ ჯუჰაიმმა თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მლოცველის წინ გამვლელმა რომ იცოდეს, რა მძიმე ცოდვას იტვირთავს, მისთვის უკეთესი იქნებოდა, რომ ორმოცი (დღე, თვე ან წელი) დალოდებოდა, ვიდრე მლოცველის წინ გაევლო» აბუ ნადრმა თქვა: არ ვიცი, ალლაჰის შუამავალმა თქვა ორმოცი დღე, თვე თუ წელი?

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა, რომ არ უნდა გაიაროს მლოცველის წინ, იქნება ეს სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი ლოცვა, და თუ ის, ვინც ამას განზრახ ჩაიდენს, იცოდეს, რა ცოდვა და სასჯელი ელოდება, მას ურჩევნოდა ორმოცი (დღე, თვე ან წელი) გაჩერებულიყო, რადგან ეს მისთვის უკეთესი იქნებოდა, ვიდრე მლოცველის წინ გაევლო. ჰადისის გადმომცემმა, აბუ ნადრმა, თქვა: არ ვიცი, შუამავალმა თქვა ორმოცი დღე, თვე თუ წელი?

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/7191